თბილისის “დინამო” გამოვიდა “სსრ კავშირის თასის” გათამაშებიდან

8 ივლისს, მოსკოვში, “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ერთ-ერთი საინტერესო სათასო მატჩი. მეოთხედ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში თბილისელთა იერიშით დაიწყო, მე-9 წუთზე პაიჭაძემ ბურთი მოსკოველთა კარისაკენ გაიტაცა, მაგრამ “ტორპედოს” დამცველები მას უხეშად შეეხნენ, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა 25 მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმა. სპარტაკ ჯეჯელავამ ეს შესაძლებლობა შესანიშნავად გამოიყენა და ანგარიში გახსნა. მე-15 წუთზე პაიჭაძე პირისპირ დადგა მოსკოველთა მეკარის აკიმოვის წინაშე. აკიმოვმა მოხერხებულად იხსნა კარი აშკარა გოლისაგან.

მეორე ტაიმში მოსკოველები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ და 25-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს.

ორი ტაიმი დამთავრდა ფრედ, ანგარიშია _ 1:2. დაინიშნა დამატებითი ტაიმი, სადაც ორივე გუნდი ბურთს უმეტეს შემთხვევაში აუტში ისროდა. მოსკოველებმა მე-15 წუთზე მოფიქრებული კომბინაცია გაითამაშეს და თავდამსხმელმა ჟარკოვმა ბურთი თბილისელთა კარის ბადეში გაახვია, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ამრიგად მოსკოვის “ტორპედომ” მეოთხედი ფინალური მატჩი თბილისის “დინამოსთან” მოიგო ანგარიშით _ 2:1.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 10 ივლისი, 1947 წ.